ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის

გიორგი ახვლედიანის

2016 წლის **01** ნოემბრიდან **2017** წლის **11** ოქტომბრის ჩათვლით საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე , 47 -ე მუხლებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის # 2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"-ს მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად, როგორც საკრებულოს წევრმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ თორმეტი თვის განმავლობაში ვმონაწილეობდი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებში, სადაც მიღებულ იქნა 93 დადგენილება და 496 განკარგულება. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის წევრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულმა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩაატარა 30 სხდომა და განიხილა 81 დადგენილება და 201 განკარგულება, სადაც მივიღე აქტიური მონაწილეობა; შევისწავლე 115

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ჩაატარა 14 სხდომა , სადაც განხილულ იქნა 19 საკითხი. კომისიის საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებაში ხელშეწყობასთან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 2 ფურცელი
10/9673 11.10.17

ერთად სპორტის პოპულარიზაცია ახალგარზდებში. კომისიის მუშობის პროცესში მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა საკითხების განხილვაში.

დედაქალქის მოსახლეობის პრობლემათა გაცნობისა და მოგვარების მიზნით გამოვყავი მოქალაქეთა მიღების ერთი სამუშაო დღე, რომლის ფარგლებში პირადად გავესაუბრე 156 მოქალაქეს . ქ. თბილისის მოქალაქეების პრობლემების უკეთ გაცნობის მიზნით თორმეტი თვის განმავლობაში ჩემი სამდივნოს მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ იქნა გასვლითი შეხვდრა თბილისის რაიონის მოსახლეობასთან. ამასთან შეხვედრებს ვატარებდი მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად. მოქალაქეთა პრობლემების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა სოციალური შინაარსის პრობლემებთან ერთდ ინფრასტრუქტურული სახის თემები.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მასპინძლობას ვუწევდი სხვადასხვა ქვეყნიდან სამუშაო ვიზიტით ჩამოსულ სტუმრებს. შეხვედრებზე განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარე პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები. მონაწილეობას მიღებდი თბილისის მთავრობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

როგორც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კურატორობას ვუწევ სამ კომისიას - საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის, რომლის წევრიც თავად ვარ და ასევე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიას და ქ. თილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას :

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ ამ ხნის განმავლობაში ჩაატარა 26 სხდომა, განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული 81 საკითხი;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ჩაატარა 10 სხდომა, განხილული იქნა 129 საკითხი.

მოგეხსენებათ ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქციის „თბილისელები"-ს წევრი. ფარქციამ ამ ხნის განმავლობაში ჩაატარა 28 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 174 საკითხი.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ახვლედიანი